ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 23

2019 წ. „01“ 07

ქ. თბილისი

შპს ბათუმის ქართულ - ამერიკული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტროიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა დაურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრისN 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33 - ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34 - ე მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის ქართულ - ამერიკულ სკოლას (ს/დ 445519537) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 1 ივლისის N 9 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე